სსიპ-დავით აღმაშენებლის სახელობის საქართველოს ეროვნული თავდაცვის აკადემიის აკადემიური პერსონალის სამსახურში მიღებისა და კონკურსის ჩატარების ერთიანი წესი

გორი
2018წელი

მუხლი 1. ზოგადი დებულებები

1. სსიპ - დავით აღმაშენებლის სახელობის საქართველოს ეროვნული თავდაცვის აკადემიის (შემდგომში - აკადემია) აკადემიური პერსონალის სამსახურში მიღებისა და კონკურსის ჩატარების ერთიანი წესი (შემდგომში - წესი) შემუშავებულია საქართველოს ორგანული კანონის ,,საქართველოს შრომის კოდექსის", ,,უმაღლესი განათლების შესახებ" საქართველოს კანონის და საქართველოს თავდაცვის მინისტრის 2017 წლის 14 მარტის №16 ბრძანებით დამტკიცებული აკადემიის წესდების საფუძველზე.

2. წესის მიზანია უზრუნველყოს აკადემიის აკადემიური პერსონალის დაკომპლექტება აკადემიის აკადემიური და სამეცნიერო მიზნების, აკადემიური თანამდებობის დაკავების მსურველის, აკადემიის ინტერესების და მოქმედი კანონმდებლობის მოთხოვნათა გათვალისწინებით, კონკურსის საჯაროობის, აკადემიის ყველა ძირითადი საგანმანათლებლო ერთეულისათვის მისი ერთიანობის, გამჭვირვალობის, თანასწორობისა და სამართლიანი კონკურენციის პრინციპების დაცვით.

3. წესის დანიშნულებაა, უზრუნველყოს აკადემიის მოთხოვნებისა და კონკურსანტის ნიჭის, უნარების, პოტენციალისა და შესაძლებლობების ობიექტური შეფასება, მათი ერთმანეთთან ურთიერთშეჯერებისა და საერთო ინტერესების მომცველი შრომითსამართლებრივი კავშირის ჩამოყალიბება, ურთიერთსასარგებლო თანამშრომლობის დამყარება აკადემიის კანონმდებლობით განსაზღვრული მიზნების მისაღწევად.

მუხლი 2. აკადემიური პერსონალის საკონკურსო თანამდებობაზე არჩევის წინაპირობები

1. პროფესორად შეიძლება არჩეულ იქნეს დოქტორი ან მასთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხის მქონე პირი, რომელსაც აქვს სამეცნიერო-პედაგოგიური მუშაობის არანაკლებ 6 წლის გამოცდილება და რომელიც აკმაყოფილებს ამ წესით განსაზღვრულ დამატებით პირობებს, არანაკლებ 5 წლის ვადით.

2. უვადოდ შეიძლება აირჩეს პირი, რომელიც აკმაყოფილებს ამ მუხლის პირველი პუნქტით დადგენილ მოთხოვნებს და რომელსაც აქვს განსაკუთრებული პროფესიული მიღწევები ან/და სამეცნიერო მიღწევები (მაგალითად, აქვს სამეცნიერო პუბლიკაციები წამყვან ადგილობრივ და საერთაშორისო ჟურნალებსა და გამოცემებში, მიღებული აქვს მონაწილეობა ეროვნულ და საერთაშორისო სამეცნიერო-კვლევით კონფერენციებსა და პროექტებში და სხვა).

3. ამ მუხლის პირველი და მე-2 პუნქტით გათვალისწინებულ პროფესორის თანამდებობაზე 5 წელზე მეტი ვადით არჩევის შემთხვევაში პროფესორი 5 წელიწადში ერთხელ ექვემდებარება ატესტაციის გავლას. ატესტაციის გავლას არ ექვემდებარება ამ მუხლის პირველი და მე-2 პუნქტით გათვალისწინებულ თანამდებობაზე არჩეული პროფესორი, რომელიც პროფესორის თანამდებობაზე არჩეულია 5 წელზე მეტი ვა-

დით, მაგრამ პროფესორის თანამდებობაზე არჩევიდან 5 წლის შემდეგ დარჩენილი აქვს უფლებამოსილების 5 წელზე ნაკლები ვადა.

4. ასოცირებული პროფესორის თანამდებობაზე შეიძლება არჩეულ იქნეს დოქტორის ან მასთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხის მქონე პირი, რომელსაც აქვს სამეცნიერო-პედაგოგიური მუშაობის არანაკლებ 3 წლის გამოცდილება.

5. ასისტენტ-პროფესორად შეიძლება არჩეულ იქნეს დოქტორის ან მასთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხის მქონე პირი 3 ან 4 წლის ვადით.

6. ასისტენტის თანამდებობაზე შეიძლება არჩეულ იქნეს დოქტორანტი 3 ან 4 წლის ვადით.

7. აკადემიაში შესაძლებელია პროფესიული ნიშნით კვალიფიციური პერსონალის ამ მუხლის პირველი, მე-4, მე-5 და მე-6 პუნქტებით გათვალისწინებული აკადემიური თანამდებობების დაკავება. ამ შემთხვევაში პირის კვალიფიკაცია შესაძლებელია დასტურდებოდეს პროფესიული გამოცდილებით, სპეციალური მომზადებით ან/და პუბლიკაციებით. შესაბამისი კვალიფიკაციის მქონედ ითვლება პირი, რომელსაც აქვს პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების გამომუშავებისათვის აუცილებელი კომპეტენცია.

მუხლი 3. პროფესორის აკადემიური თანამდებობის დასაკავებლად კანდიდატისადმი წაყენებული პროფესიული უნარების, აკადემიური საქმიანობისა და სამეცნიერო საქმიანობის მოთხოვნები

1. პროფესორის აკადემიური თანამდებობის დასაკავებლად კანდიდატისადმი წაყენებული პროფესიული უნარების, აკადემიური საქმიანობისა და სამეცნიერო საქმიანობის მოთხოვნებია:

ა) სასწავლო პროცესის გაძღოლა და შესაბამის აკადემიურ/პროფესიულ სფეროში სასწავლო კურსების სწავლება;

ბ) საბაკალავრო/სამაგისტრო ნაშრომების ხელმძღვანელობა, იუნკერთა საკონფერენციო თემების ხელმძღვანელობა და ა.შ. ;

გ) კვლევაში აქტიური მონაწილეობა და კვლევის შედეგების გამოქვეყნება, რაც შეიძლება გამოიხატოს ბოლო 5 წლის განმავლობაში ადგილობრივ, თუ საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციებში, კვლევით პროექტებში/გრანტებში მონაწილეობით, გამოქვეყნებული სტატია/ნაშრომით და სხვ.;

დ) მონაწილეობის მიღება პროფესიული განვითარების პროგრამებსა და სხვა სახის პროექტებში, როგორც აკადემიის ფარგლებში, ისე მის გარეთ;

ე) სასწავლო კურსის პროგრამის (სილაბუსის) განვითარება/სრულყოფა;

ვ) საგამოცდო და სასწავლო მასალის მომზადება, იუნკერთა შეფასება სილაბუსში ასახული შეფასების კომპონენტებისა და კრიტერიუმების მიხედვით, რომლებიც თანხვედრაშია მოქმედ კანონმდებლობასთან;

ზ)საგანმანათლებლო პროგრამის შექმნის/დახვეწის პროცესის ხელმძღვანელობა ან მონაწილეობა;

თ) კომპეტენციის ფარგლებში აკადემიის მიერ დაგეგმილ ღონისძიებებზე დასწ რება და მონაწილეობა;

ი) ეთიკის ნორმების დაცვა;

კ) შრომითი ხელშეკრულებით განსაზღვრული ვალდებულებების შესრულება;

ლ) სამეცნიერო პედაგოგიური საქმიანობის ორგანიზების, გუნდური მუშაობის, ეფექტიანი კომუნიკაციის უნარი;

მუხლი 4. პროფესორის განსაკუთრებული პროფესიული ან/და სამეცნიერო მიღწევები

1. პროფესორის განსაკუთრებულ პროფესიულ ან/და სამეცნიერო მიღწევებში მოიაზრება:

ა) საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელობის გამოცდილება;

ბ) სამეცნიერო ჯილდოები და დამსახურებები;გ) სამეცნიერო პუბლიკაციები წამყვან ადგილობრივ და საერთაშორისო ჟურნალებსა და გამოცემებში;

დ) მონოგრაფიები;

ე) მოხსენებები საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციებზე;

ვ) გრანტებში/ეროვნულ და საერთაშორისო სამეცნიერო-კვლევით პროექტებში მონაწილეობა;

ზ) სადოქტორო/სამაგისტრო კვლევების ხელმძღვანელობა;

პროფესიული ნიშნით პერსონალის მოთხოვნები გაიწერება კონკურსის გამოცხადების შესახებ შესაბამის ბრძანებაში.

მუხლი 5. კონკურსის გამოცხადება

1. პროფესორის, ასოცირებული პროფესორის, ასისტენტ–პროფესორის და ასისტენტის თანამდებობის დასაკავებლად კონკურსს აცხადებს აკადემიის რექტორი.
2. კონკურსის ჩატარების თარიღი და პირობები ქვეყნდება აკადემიის ოფიციალურ ვებ-გვერდზე და საჯარო სამსახურის ბიუროს ვებ-გვერდზე, საბუთების მიღებამდე არანაკლებ 1 თვით ადრე. ზუსტი ვადა, საკონკურსო პირობებისა და წარმოსადგენი საკონკურსო დოკუმენტაციის ამომწურავი ჩამონათვალი განისაზღვრება აკადემიის რექტორის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით.
3. კონკურსში მონაწილეობისათვის კანდიდატი განაცხადს/საბუთებს წარადგენს მხოლოდ ელექტრონული ფორმით, საჯარო სამსახურის ბიუროს მიერ ადმინისტრირებულ ვებ გვერდის (www.hr.gov.ge) მეშვეობით.

4. განაცხადების/საბუთების მიღება გრძელდება არანაკლებ ერთი და არაუმეტეს სამი კვირისა.

   კონკურსი ტარდება საკონკურსო დოკუმენტაციის (საბუთების) მიღების ვადის დასრულებიდან არაუმეტეს 1 თვისა. კონკურსის საბოლოო შედეგები ქვეყნდება არაუგვიანეს 30 სამუშაო დღისა, გასაუბრების დასრულების დღიდან, საჯარო სამსახურის ბიუროს მიერ ადმინისტრირებულ ვებ გვერდის შესაბამის მოდულში.იმ შემთხვევაში, თუ კონკრეტული საკონკურსო ვადა სრულდება აკადემიის

   არასამუშაო ან საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრულ უქმე დღეს, კონკრეტული საკონკურსო ვადის დასრულების დღედ ითვლება მომდევნო სამუშაო დღე.

მუხლი 6. საკონკურსო კომისია

1. კონკურსს ატარებს აკადემიის საკონკურსო კომისია (შემდგომში - საკონკურსო კომისია), რომლის შემადგენლობას რექტორის წარდგინებით ამტკიცებს აკადემიური საბჭო.

2. საკონკურსო კომისია შესაძლებელია შედგებოდეს აკადემიის რექტორის, რექ-ტორის მოადგილეების, ადმინისტრაციის უფროსის ადმინისტრაციის უფროსის მოა-დგილის, სტრუქტურული ერთეულების ხელმძღვანელების, საგანმანათლებლო ერთეულების ხელმძღვანელების, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსის და შესაბამისი დარგის (მათ შორის უცხოელი) სპეციალისტებისაგან. საკონკურსო კომისია უნდა შედგებოდეს მინიმუმ 5 წევრისაგან.

3. საკონკურსო კომისიის მუშაობისას კონკრეტული საკითხების გადაწყვეტის მიზნით, საჭიროების შემთხვევაში, თავისი კომპეტენტური აზრის დასაფიქსირებ-ლად შესაძლებელია, მოწვეულ იქნეს შესაბამისი დარგის ექსპერტი კენჭისყრაში მონაწილეობის უფლებით..

4. საკონკურსო კომისიის წევრი არ შეიძლება იყოს პირი, რომელიც ამავე კონკურსში მონაწილეობს, კონკურსში მონაწილეობის მსურველის ან კონკურსანტის სტატუსით.

5. საკონკურსო კომისია უფლებამოსილია შეუდგეს მუშაობას თუ მას ესწრება კომისიის წევრთა 2/3-ი.

6. საკონკურსო კომისია თავის შესასრულებელ საქმიანობასთან დაკავშირებულ საკითხებზე გადაწყვეტილებას იღებს დამსწრე წევრთა ხმების უმრავლესობით, ხმე-ბის თანაბრად განაწილების შემთხვევაში გადამწყვეტია კომისიის თავმჯდომარის ხმა.

7. საკონკურსო კომისიის სხდომას ხელმძღვანელობს საკონკურსო კომისიის თავმჯდომარე, ხოლო მისი არყოფნის შემთხვევაში საკონკურსო კომისიის თავმჯდო-

მარის მოადგილე, რომელიც ასეთ შემთხვევაში სარგებლობს თავმჯდომარის უფლებამოსილებებით.

8. საკონკურსო კომისიის მუშაობის ის პროცედურები, რომლებიც არ არის გათვალისწინებული წინამდებარე წესით, შესაძლებელია დადგინდეს უშუალოდ საკონკურსო კომისიის მიერ მათ შორის საკონკურსო კომისიის წერილობითი გადაწყვეტილების სახით.

9. საკონკურსო კომისიის საქმიანობა აისახება საკონკურსო კომისიის გადაწყვეტილებებში და ოქმებში.

10. საკონკურსო კომისიის სხდომა დახურულია.

11. საკონკურსო კომისიის წევრი ვალდებულია დაიცვას კონფიდენციალობის პრინციპი და არ გაამჟღავნოს ინფორმაცია საკონკურსო კომისიის მუშაობის შესახებ კონკურსის შედეგების დამტკიცებამდე.

მუხლი 7. საკონკურსო დოკუმენტაციის მიღება

1. კონკურსში მონაწილეობის მსურველი ვალდებულია, საკონკურსო განცხადება და საკონკურსო დოკუმენტაცია წარუდგინოს აკადემიას კონკურსით განსაზღვრული პირობებისა და ვადების დაცვით.

2. საკონკურსო დოკუმენტაციის მიღებას ახორციელებს აკადემიის საორგანიზაციო კომისია, რომლის შემადგენლობას რექტორის წარდგინებით ამტკიცებს აკადემიური საბჭო.

3. კონკურსში მონაწილეობის მიზნით კონკურსში მონაწილეობის მსურველის მიერ წარდგენილი დოკუმენტების სისრულე მოწმდება საორგანიზაციო კომისიის მიერ.

4. იმ შემთხვევაში, თუ გამოცხადებულ ვადებში, კონკურსში მონაწილეობის მსურველის მიერ ვერ ხერხდება სრულად საკონკურსო დოკუმენტაციის წარმოდგენა, შესაძლებელია მას მიეცეს ნაკლული საკონკურსო დოკუმენტაციის წარმოდგენისთვის დამატებითი ვადა, საორგანიზაციო კომისიის მიერ საკონკურსო კომისიისთვის დოკუმენტების გადაცემამდე.

5. კონკურსში მონაწილეობის შესახებ ვადის დარღვევით (განცხადებების მიღების ვადის გასვლის შემდგომ) წარდგენილი დოკუმენტაცია,ან არასრულყოფილი დოკუმენტაცია მიღებასა და რეგისტრაციას არ ექვემდებარება.

6. საკონკურსო დოკუმენტაციის გადმოგზავნა შესაძლებელია საჯარო სამსახურის ბიუროს ვებ გვერდის (www.hr.gov.ge).

მუხლი 8. საკონკურსო დოკუმენტაციის შემოწმება, კონკურსანტის შეფასების პირველი ეტაპი

1. საკონკურსო დოკუმენტაცია შესაბამის საკონკურსო კომისიას გადაეცემა საორგანიზაციო კომისიის მიერ, საკონკურსო განცხადებების მიღების დასრულებიდან არაუგვიანეს მეათე სამუშაო დღისა დალუქულ მდგომარეობაში, საორგანიზაციო კომისიის წევრების ხელმოწერით.

2. საკონკურსო დოკუმენტაცია იხსნება საკონკურსო კომისიის სხდომაზე.

3. საკონკურსო კომისია ამოწმებს კონკურსანტის განაცხადს (CV), დოკუმენტაციის სისრულესა და შესაბამისობას კონკურსის გამოცხადების ბრძანებაში მოყვანილ მოთხოვნებთან და დარღვევის აღმოჩენის შემთხვევაში უფლებამოსილია მიიღოს წერილობითი გადაწყვეტილება კონკურსანტის კონკურსიდან მოხსნის თაობაზე.

4. საკონკურსო კომისია ყველა შესაფასებელი კონკურსანტის შეფასების ეტაპის დასრულების შემდგომ იღებს წერილობით გადაწყვეტილებას კონკურსში მონაწილე კონკურსანტების ზეპირ გასაუბრებაზე მოწვევის შესახებ და ამტკიცებს ამ პირთა სიას.

5.კომისია ასევე იღებს გადაწყვეტილებას ზეპირი გასაუბრების განრიგის დამტკიცების თაობაზე, რომელიც ითვალისწინებს გასაუბრების თარიღ/ებ/ს.

6. ამ მუხლის მე-5 პუნქტით განსაზღვრული გადაწყვეტილების მიღებასთან ერთად კომისია უფლებამოსილია, მიიღოს გადაწყვეტილება, დაამტკიცოს იმ პირთა სია, რომელთაც არ მიენიჭა კონკურსანტის სტატუსი.

7. კონკურსის მომდევნო ეტაპამდე 7 სამუშაო დღით ადრე კომისია ვალდებულია ელექტრონულად ან/და წერილობით აცნობოს კანდიდატს მის მიერ წარდგენილი განაცხადის ძირითად ფორმალურ მოთხოვნებთან შეუსაბამობის შესახებ. კანდიდატის მოთხოვნის შემთხვევაში კომისია ვალდებულია კანდიდატისათვის გაგზავნილ გადაწყვეტილებაში მიუთითოს განაცხადის ძირითად ფორმალურ მოთხოვნებთან შეუსაბამობის მიზეზი.

8. კონკურსანტის საკონკურსო დოკუმენტაციის ან/და შეფასების ფორმის, აგრეთვე, მათში არსებული ინფორმაციის ნებისმიერი სახით თუ ფორმით გაცემა სხვა პირზე დაუშვებელია, იმ კონკურსანტის კანონმდებლობით დადგენილი წესით გაფორმებული და ნოტარიულად დამოწმებული წერილობითი თანხმობის გარეშე, ვისი საკონკურსო დოკუმენტაცია ან/და შეფასების ფორმა ან მათში არსებული ინფორმაციაც არის მოთხოვნილი.

მუხლი 9. გასაუბრება, შეფასების მეორე ეტაპი

1. გასაუბრება ტარდება საკონკურსო კომისიის მიერ მიღებული გადაწყვეტილების საფუძველზე დადგენილ ადგილას და დროს. გასაუბრების მიზანია დაზუსტდეს ან/და დაკონკრეტდეს კონკურსანტის თაობაზე არსებული ინფორმაცია, შეფასდეს კონკურსანტის პროფესიული უნარ-ჩვევები, გადმოცემის უნარი, ლოგიკური აზროვ-

ნების უნარი, ქცევისა და მეტყველების მანერა, აკადემიის სტრუქტურისა და მართვის სისტემის ცოდნა და სხვა ისეთი საკითხები, რომლებიც შესაძლებელია დაკავშირებული იყოს აკადემიაში აკადემიური პერსონალის შრომითი და საგანმანათლებლო-სამეცნიერო საქმიანობის სფეროსთან.

2. კონკურსანტი ვალდებულია გამოცხადდეს გასაუბრებაზე მისთვის განსაზღვრულ დროს. კონკურსანტის დაშვებულ დროზე მეტი ხნით დაგვიანების შემთხვევაში საკონკურსო კომისია უფლებამოსილია, კონკურსანტთან გასაუბრება ჩაატაროს მხოლოდ იმავე დღეს.

3. გასაუბრება წარმოადგენს კონკურსანტის შეფასების მეორე ეტაპს.

4. გასაუბრება შესაძლებელია ჩატარდეს როგორც კითხვა-პასუხის, ასევე კომისიის მოთხოვნის შემთხვევაში კონკურსანტის მიერ გარკვეული საკითხების მოკლე მიმოხილვის სახით.

5. აკადემიური თანამდებობის დასაკავებლად, ამ წესის მე-2 მუხლით დადგენილ პირობებთან აუცილებელი შესაბამისობის გარდა, მხედველობაში მიიღება თითოეული კონკურსანტის შესაბამისობა შემდეგ კრიტერიუმებთან:

- აკადემიური კვალიფიკაცია;
- პედაგოგიური გამოცდილება;
- პრაქტიკული გამოცდილება;
- სასწ.-მეთოდური გამოცდილება;
- ტრენინგები;
- სალექციო კურსები, რომელთა წაკითხვაც შეუძლია კონკურსანტს;
- პუბლიკაციები საერთაშორისო რეცენზირებად გამოცემებში, სხვა პუბლიკაციები (მონოგრაფია, სახელმძღვანელო, სტატია ადგილობრივ რეფერირებად ჟურნალში, კონფერენციის მასალათა კრებულში და ა. შ.);
- მოხსენებები საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციებზე;
- გრანტები/ პროექტები;
- სადოქტორო/ სამაგისტრო კვლევების ხელმძღვანელობა;
- პრეზენტაცია (მოთხოვნის შემთხვევაში);

6. კონკურსანტების შეფასება ხორციელდება კონკურსანტების შეფასების ანკეტის მეშვეობით. დანართი 1

7. გასაუბრების მოკლე მიმოხილვა აისახება საკონკურსო კომისიის სხდომის ოქმში.

8. საკონკურსო კომისია უფლებამოსილია, საჭიროების შემთხვევაში მიიღოს გადაწყვეტილება კონკურსანტის მიერ საცდელი ლექციის ჩატარების ან სხვა ისეთი

აქტივობის განხორციელების შესახებ, რომელიც გამოდგება კონკურსანტის სრულყოფილად შეფასების დამატებით საფუძვლად.

9. კონკურსანტის მიერ გასაუბრებაზე გამოუცხადებლობა ან უარის თქმა და საცდელ ლექციაზე გამოუცხადებლობა ან მის ჩატარებაზე უარის თქმა, ასევე ამ მუხლის მე-8 პუნქტით გათვალისწინებულ აქტივობაზე გამოუცხადებლობა ან უარის თქმა წარმოადგენს კონკურსანტის კონკურსიდან მოხსნის საფუძველს.

მუხლი 10. გადაწყვეტილების მიღება/გამარჯვებულის გამოვლენა

1. წინამდებარე წესის მე-8 და მე-9 მუხლებით გათვალისწინებული პროცედურების დასრულების შემდგომ საკონკურსო კომისია ახდენს კონკურსის შედეგების ურთიერთშეჯერებას, შეფასებას და იღებს გადაწყვეტილებას გამარჯვებულ/ებ/ის გამოვლენის შესახებ.

2. ერთ აკადემიურ თანამდებობაზე გამარჯვებულად ცხადდება ერთი კონკურსანტი.

3. აკადემიურ თანამდებობაზე გამარჯვებულის გამოვლენის გადაწყვეტილება მიიღება კომისიის მიერ ფარული კენჭისყრის წესით (დანართი №1). გამარჯვებულად ცხადდება კონკურსანტი, რომელიც მიიღებს დამსწრე წევრთა ხმების ნახევარზე მეტს, ხმების თანაბრად განაწილების შემთხვევაში გადამწყვეტია კომისიის/სხდომის თავმჯდომარის ხმა.

4. კომისიის წევრი არ სარგებლობს კენჭისყრისას ხმის მიცემისაგან თავის შეკავების უფლებით.

5. საკონკურსო კომისიის გადაწყვეტილება კონკურსანტ/ებ/ის გამარჯვებულად გამოცხადების შესახებ მიიღება კომისიის შემაჯამებელი ოქმით;

6. აკადემიურ თანამდებობაზე შესარჩევი კონკურსის შედეგების დამტკიცება და აკადემიური თანამდებობის დაკავება ხდება საკონკურსო კომისიის შემაჯამებელი ოქმის საფუძველზე გამოცემული აკადემიის რექტორის ბრძანებით.

7. რექტორის ბრძანება სასამართლოში გასაჩივრებას ექვემდებარება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

მუხლი 11. დასკვნითი დებულება

საკონკურსო კომისიის სრული დოკუმენტაცია კონკურსის შედეგების ძალაში შესვლის შემდეგ შესანახად გადაეცემა აკადემიის ადმინისტრაციის ადამიანური რესურსების მართვის განყოფილებას, კონკურსანტის წერილობითი მოთხოვნის შემთხვევაში, უბრუნდებათ წარმოდგენილი დოკუმენტები (ასევე სხვა მასალები), მათი ქსეროასლები კი რჩება (მიზანშეწონილობიდან გამომდინარე) აკადემიის კანცელარიაში.